№ 196

შაბათი, 12 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 196

შაბათი, 12 სექტემბერი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, №, ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ღირს 4 მან. 75 კაპ.

**მღვდელი ალექსანდრე ზაქარიას ძე მოლოდინოვი, მთავარ-დიაკვანი სვიმონ ივანეს ძე ცაბაძე, ნინო ხახუტაშვილისა, სოფიო ნადირაშვილისა და დარია მოლოდინოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველის სიმამრის შვილისას, ხოლო დანარჩენნი ძმისას

**არქიმანდრიტის ევსევისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ დასასწრებლად სამშაბათს, 15 სექტემბერს ანჩი-ხატის, ქუჩაზედ, მღვდლის ა. მოლოდინოვის სახლში № 21. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველ დღე: ნაშუადღევის 12 საათსა და საღამოს 7—ს საათზედ.

(2—135—1)

**გაზეთ „მშაკის“ რედაქცია,** აუწყებს რა გარდაცვალებას ამ გაზეთის გამომცემლის პროფესსორის

**ანდრია ერემიას ძის არწრუნისას,**

რომელიც 10 სექტემბერს გერმანიაში გარდაიცვალა, აცხადებს, რომ პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება ვანქის ტაძარში, კვირას, 13 სექტემბერს, შუადღის 12 საათზედ.

(2—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.** —6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს. სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო, კოლეჟსკი სოვეტნიკობა—ყუბინის ოლქის უმცროს მკურნალს მანსვეტაშვილს.

გადაყვანილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი, კოლეჟსკი სეკრეტარი ნაცვლიშვილი—კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო გამგეობის მოხელედ; სიღნაღის სამაზრო ხაზინის ბუღალტერი კონსტანტინე მალალაშვილი—იმავე თანამდებობაზედ შულავერის სამაზრო ხაზინაში.

გამწესებულ იქმნა იოსებ სალუქვაძე—ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დანიშნულ იქმნა ტფილისის სახაზინო პალატის სტოლის უფროსის თანაშემწე კონსტანტინე კუხიანიძე—იმავე პალატის ბუღალტერის თანაშემწედ.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწის, გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია, რომელმაც კავკასიაში ავაზაკობის მოსპობის ღონისძიებანი უნდა შეიმუშაოს, ამ ახლო მომავალში ხელ-ახლა შეუდგება საქმეს.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის კანცელარიას შეეკითხა კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია—რამდენად საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებელთათვის, რომ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნას დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად.

*** გუშინ, 11 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ი. ო. პარჩევსკისა, წევრის ვ. თ. პადალკოსი და ბრალმდებლის ამხანაგის ლ. ი. დობროვოლსკისაგან თიონეთში წავიდა. სესსია იქ 15 სექტემბრამდე დაჰყოფს.

*** ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე გუბერნიაში ბეითალთა რიცხვის მომატების შესახებ, რომ ყოველ პოლიციის ნაწილში ერთი ბეითალი იყოს დანიშნულიო. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუწყნარებია ეს თხოვნა და ტფილისის გუბერნიაში გადმოუყვანია კიდეც ცხრა ბეითალი თერგის ოლქიდგან.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო ნაწილის გამგე ნ. პ. პეშტიჩი გუშინ, 11 სექტემბერს, ბაქოს გაემგზავრა, საიდგანაც 15 სექტემბერს დაბრუნდება ტფილისს, აქ 15 სექტემბრიდგან დაიწყება კავკასიის საგუბერნიო ბეითალთა კრება და 4—5 დღე გასტანს.

*** ტფილისის სახელმწიფო ბაღების გამგედ, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ინიშნება ბ ნ გინცენბერგის ალაგას, ა. ხ. როლლოვი, რომელსაც ერევნის ვენახების ზედამხედველობა ებარა.

*** ქალაქის გამგეობამ განიხილა ორი ოქმი, რომელიც შეუდგენია საგანგებო კომისიას ცხენის რკინის გზების გასინჯვის შესახებ და დაადგინა, რადგანაც უსახელო საზოგადოება ცუდად ინახავს ცხენის რკინის გზებს, 150 მან. ჯარიმა გარდახდესო.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა ბრძანა, რომ ყარსის ოლქის სოფ. „ტერპენიას“ (მოთმინება) ამიერიდგან სახელად ეწოდებოდეს „პლოდოროდნოე“ (ნაყოფიერი). ამ სოფელში დუხობორები სცხოვრობენ.

*** შაბათს, 12 სექტემბერს, ქა-

## ფელეტონი

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

იმპერატორის ნიკოლოზ მე-II მანიფესტი და ინგლისელთა აღტაცება.—საყურადღებო სიტყვა, სახალხო ორატორის მიერ წარმოთქმული.—დრეიფუსის საქმე.—ქვა-ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა საქმის დაბოლოვება.—ინგლისელთა გამარჯვება სუდანში და გენერალი კიჩინერი.

„ჩვენის საუკუნის უშესანიშნავესი საპოლიტიკო საბუთის ქაღალდია“-ო.—აი, რას ამბობენ საერთოდ აქაური ჟურნალ-გაზეთები რუსეთის იმპერატორის იმ მოწოდების შესახებ, რომლითაც იგი დიდ სახელმწიფოთ იარაღის აყრას ურჩევს. „რა შედეგიც უნდა მოჰყვეს განზრახულს კონფერენციას, მეთაურობა საქმისა, რომელიც პეტერბურგში იკისრეს, კაცთ-მოყვარეობის ხმა, ამაღლებული ახალგაზდა იმპერატორის მიერ, რომელიც ერთ გაახსენებს უგუნურებას ფულის ხარჯვისას, გაღატაკებას ხალხისას სამხედრო შეიარაღების სენისაგან,—ჩვენის დროის საუკეთესო საბუთად დარჩებაო“.

აი, ამ აზრისაა საერთოდ, მოკლედ რომ ვთქვათ, აქაური საზოგადოება: კონსერვატორები, ლიბერალები და რადიკალები, ყველა სარწმუნოების სასულიერო წოდების კაცნი, შეძლებულნი და ღარიბნი, ბატონნი და მუშანი... ყველამ ერთ-ხმად აღიმაღლა ხმა, კაცთ-მოყვარეობისა, სიყვარულისა და გრძობის გრძნობით აღსავსე. დიდი ადგილი ეჭირდებოდა, ყველა რომ განვიმეოროთ, რაც კი კაცთ-მოყვარე აზრი, გულის ამაჩვილებელ და ლამაზის სიტყვებით შეხამებული, წარმოითქვა ჟურნალ-გაზეთებისა, საზოგადოებათა, საპოლიტიკო და საზოგადოების მოღვაწეთა მიერ. განსაკუთრებით გრძნობით აღსავსეა სიტყვები დოქტორის სპენს ვატსონისა, სალიბერალო დასის საეროვნო ფედერაციის თავმჯდომარისა, ე. ი. იმ კაცისა, რომელსაც განსვენებულ გლადსტონის შემდეგ ყველაზედ დიდი ზნეობრივი გავლენა აქვს. მთელი თავისი სიცოცხლე ამ კაცმა შესწირა მოღვაწეობას და მონაწილეობას იღებდა ამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში რაც-კი საუკეთესო, საკეთილო და განათლებულ საუკუნეში ღირსეული გაკეთებულა. იმპერატორის მოწოდებამ დიდად ააღელვა გულით გაუტეხელი მოხუცი.

„როდესაც ჩვენის ყმაწვილ-კაცობის საუკეთესო იდეალის, კეთილისა და ადამიანობის უწმიდესს ინტერესების სასარგებლოდ, იმ ინტერესებისა, რომელიც მთელს სიცოცხლეში გამოღოლიავებული გვაქვს გულის სიღრმეში,—ასის მილიონის ხალხის მპყრობელ ხელმწიფის ძლიერი ხმა გაისმის... ოო, მაშინ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ: ამაოდ არ გვიცოცხლია, ღირდა ცხოვრებადაო“!..

ასეთისავე გრძნობით სავსე სიტყვებით ჰლაპარაკობდნენ „მშვიდობის“ საზოგადოებისა და საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს წევრნი, როდესაც განცვიფრებისა და თანაგრძნობის ადრესს უგზავნიდნენ იმპერატორს. მეორე ადრესი, უფრო დიდი მნიშვნელობისა ზნეობრივად, შეადგინა ტრედ-უნიონთა კონგრესმა, რომლის წევრნიც მილიონზედ მეტნი იყვნენ, წარმომადგენელნი მუშა მკვიდრისა, ინგლისელ ნამდვილ მწარმოებელთა.

ხოლო რათა მკითხველმა უფრო კარგად გაითვალისწინოს, როგორ იმოქმედა და რა ლაპარაკი გამოიწვია იმპერატორის წინადადებამ, მოვიყვან, რამდენადაც მახსოვს, სიტყვას ერთის სახალხო ორატორისას, რომელთა რიცხვი აქ ასობით არის პარკსა და მოედნებზედ. ეს სიტყვა მცირეოდნად იმასაც გაგაგებინებთ, რა კილოთი იციან ლაპარაკი სახალხოდ.

„ლედი და ჯენტლმენნო! მიუბრუნდა იგი გახეხილ ტანისამოსიანებს: ჩრდილოეთიდგან მოჰმართეს ჩვენს ლომსა და სხვათა ქვეყნების არწივებს და დაწყნარება დაუწყეს: „იკმარეთ, ძმანო ჩემნო, ადამიანის სისხლის ამაოდ დანთხევაო. გონებაზედ მოდით, თორემ თქვენს დაუწყნარებლობას უბედურება მოჰყვებაო!“ და ჩვენც მადლობელნი ვართ ამ ჩრდილოეთის იმპერატორისა კაცთ-მოყვარეობით აღსავსე სიტყვების წარმოთქმისათვის. მან ხელი შეახო კაცობრიობის სინიდისის უუმტკივნეულესს ადგილს. პატივი და დიდება მეფეს! მან გაანაღვიძა სინიდისი... (მოწონების ხმა გაისმის). ერთა და ერის მმართველთ დიდად სჭირდათ ასეთი გაღვიძება სინიდისისა.

„აწინდელმა სამხედრო წეს-რიგმა გარყვნა ჩვენი საზოგადოებრიობა, მეცნიერება, თვით ზნეობა. მეცნიერება, ეს განმათავისუფლებელი კაცობრიობისა სიველურისა, უცოდინარობისა და ბარბაროსობის უღელისაგან, ჩვენ გარდავაქციეთ სარწმუნოებისა, განათლებისა და კულტურის მხრივ ჩვენთა ძმათა განადგურებისა და გაცამტვერების იარაღთა გამომგონებლად, ისეთ იარაღთა, რომელიც ამ ჩვენთა ძმათ მრავლად დაჰხოცეს, რაც შეიძლება დიდს მანძილზედ... დიაღ, ძმანი ვართ, ევროპაში განათლების მხრივ, ჩვენ-კი, ერთა ძმობის ნაცვლად, შევქმენით მრავალ-მილიონიანი ბანაკი შეიარაღებულ-ყმაწვილ-კაცთა, კაცობრიობის ნორჩ ყვავილისა, ბანაკი, რომელიც მზადაა დაარჩოს, ააფეთქოს, სული ამოჰხადოს სხვა თავისს ძმათა მეცნიერების ძალით, მისის სახელით, მეცნიერებისა გამო. და ყველა ამას ვჩადივართ დიდს მანძილზედ მრავალთა სახოცად და საჟლეტად.

არ არის საჭირო არც ვაჟკაცობა, არც გმირობა და არც რაინდული თავ-გამოდება.... სწორედ საკვირველია რამდენად ჩვენზედ პატიოსანნი და უკეთესი იყვნენ საშუალო საუკუნოების თითქმის ნახევრად წერა-კითხვის არ მცოდნე რაინდნი თავიანთის პირადის ღირსებით, თავიანთის იმ ფიცით, რომ ერთხელ არჩეულ მანდილოსანს ემსახურნენ, მეარვეობა გაუწიონ ქალს, დაიცვან სუსტნი და არასოდეს ხელი არ ახლონ უიარაღოს. ჩვენა?. გარდავქმენით მეცნიერება სიკვდილის ღმერთად, ვუწოდეთ პირად ღირსებას დონ-კიხო-

ლაქის გამგეობაში დანიშნულია კრება კომისიებისა, რომელთაც დავალებული აქვთ: 1) განხილვა საბჭოს დადგენილებისა ეტლების შესახებ; 2) თავშესაფართა გამგეობისა და თვალ-ყურის შესახებ; და 3) ქალაქის ქუჩების სახელების დარქმევის შესახებ.

⁂ 10 სექტემბერს კრება ჰქონდა ქალაქი გამგეობასა და იმ კომისიას, რომელსაც მიანდო ტფილისის ცხენის რკინის გზის შესახებ მოხსენებათა განხილვა. კრებამ დაადგინა — უპირველეს ყოვლისა განხილულ იქმნეს ნორმალური პირობა და შემდეგ შეუდგნენ სხვა-და-სხვა პირობათა განხილვას. კრებამ მოასწრო ნორმალური პირობის მხოლოდ ერთის ნახევარის განხილვა.

⁂ ერევნის სამაგალითო მინდვრიზე ცდიან, რომ ბამბის წამლობა იმ სენისაგან, რომელსაც აქ „ჩარს“ ეძახიან, გოგირდის სითხეთი შეიძლება.

⁂ 9 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, კორის სადგურზე შემდეგი უბედურება მოხდა. მუშა მატარებლის ერთი ვაგონი სადგურთან მისვლის დროს ლიანდაგს გადასცდა; ამის გამო მატარებელი გააჩერეს და წითელი ნიშანი გამოჰკიდეს. ამ დროს ტფილისიდგან მომავალი საქონლის მატარებელი (№ 78) მოდიოდა და დაეჯახა სადგურთან მდგომს მუშა მატარებელს, რომელზედაც ერთის დუხაბორის ოჯახობა იყო. ამათში მოკლულ იქმნა ერთი 12 წლის ქალი. ექვსი ვაგონი მუშა მატარებლისა სულ ერთიანად დაიმსხვრა და ორიც დაშავდა. ამ ლიანდაგზე მოძრაობა მხოლოდ საღამოს 7 საათსა და 95 წუთზე დაიწყეს.

⁂ იმავე დღეს, ღამის 2 საათზე, წინაღამ კიდევ ერთი უბედურობა მოხდა ახალ სენაკის სადგურის მახლობლად. საქონლის მატარებელი დაეჯახა კამეჩებს და რამდენიმე გასრისა. მატარებელი დროზე გააჩერეს და მხოლოდ ორთქლ-მავალი აღმოჩნდა დაშავებული.

⁂ აზრადა აქვთ ამ თვეში ამიერ-კავკასიის საგუბერნიო ბეითალთა კრება მოახდინონ ტფილისში. კრებაზედ ლაპარაკი იქმნება იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიაში ყველგან შემოიღონ ის კანონი, რომლის ძალითაც ჭირიანი საქონელი უნდა უეჭველად მოკლულ იქმნას.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს, გაზ. „ტფ. ფ.“-ის სიტყვით, აზრადა აქვს დააარსოს კავკასიაში საბეითალო ნაწილის განსაკუთრებული გამგეობა. ამ გამგეობას დაუქვემდებარებენ სრულიად კავკასიის საბეითალო ნაწილს, ამასთან გამგეს ჯამაგირი წელიწადში 3,000 მან. ექმნება.

⁂ ბორჯომიდგან სწერენ გ. ზ. „ახ. მიმ.“-ას, რომ აქ ჩამოვიდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ი. ჩუპროვი. სექტემბრის გასულს ჩუპროვი ტფილისში აპირებს მოსვლასო.

⁂ ტფილისის მეორე ნაწილის მომრიგებელი სასამართლო 15 სექტემბრიდგან მუხრანის ქუჩაზედ, ქართველიშვილის სახლში გადადის.

⁂ „ტფ. ფ.“ სწერენ სურამიდგან, რომ 6 სექტემბერს მეცუგოვის დუქანში ქეიფობდნენ აზნაური ა. ლოლუა და ადგილობრივი მეეტლე ი. თომაშვილი, რომელთაც შემდეგ ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს თომაშვილმა მათრახი დაჰკრა ლოლუას, ხოლო ამ უკანასკნელმა ხანჯალი ამოიძრო და მხარში დასჭრა თომაშვილიო.

⁂ იმავე გაზეთს, გორის მაზრის, სოფ. ბიათურიდგან სწერენ, რომ 6 სექტემბერს ადგილობრივმა გლეხმა შიო ბესტავაშვილმა ხანჯლით ხელსა და ფეხში დასჭრა თავისი ბიძაშვილი სოსე ბესტავაშვილიო.

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება

10 სექტემბერი

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრების დაწყებისათანავე ამორჩეულ იქმნა საზოგადო კრების თავმჯდომარედ პ. რ. ყიფიანი, ხოლო მდივნად ა. მ. ახნაზაროვი. იქვე მიღებულ იქმნა საზოგადოების წევრად ერთ-ხმად ოთხი ახალი მსურველი წევრად ჩაწერისა, სახელდობრ: თ. დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი, ბ-ნი აბელ კალატოზიშვილი, თ. ნიკოლოოზ თარხნიშვილი და ბ-ნი ნოე ჟორდანია.

შემდეგ განსახილველი იყო სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის მოხსენება დამდეგს სეზონში თეატრის საქმის წარმოების შესახებ. აქ აღმოჩნდა, რომ ახალს გამგეობას არც ხარჯთ-აღრიცხვა შეედგინა და არც არავითარი მოხსენება მოემზადებინა საზოგადოების წევრთა წინაშე წარსადგენად. ხარჯთ-აღრიცხვას ის წარმოადგენდა, რომ, როგორც გამგეობის თავმჯდომარემ თ. ნ. ი. თუმანიშვილმა განაცხადა, 60 მან. ვ. აბაშიძისათვის მიეცათ ამ ზაფხულს და 20 მან. ტანისამოსის მეთვალყურისათვის ჯამაგირად. ეს რვა თუმნის ხარჯი საზოგადოებამ დაამტკიცა. ზოგიერთმა წინა საზოგადო კრების ოქმის მოსმენა მოისურვა, მაგრამ არც ის აღმოაჩნდა გამგეობას, სადღაც არის დაკეტილი, თუ ვგონებ სულ არც-კი შედგენილა ოქმიო, განაცხადა გამგეობის თავმჯდომარემ. აქეთ-იქით გაისმა გაოცების ხმა, — რადა ვართ მოწვეულნიო.

თავ. ნ. ი. თუმანიშვილი. საბუთის ქაღალდები თუ არა გვაქვს, ამისი ბრალი ის არის, რომ ძველს გამგეობას ჩვენთვის არაფერი არ ჩაუბარებია. ექვსიოდე მან. ფულად ჩაგვაბარეს, 513 მან. 30 კაპ. ბანკში ფულის შეტანის საბუთი და კიდევ 400 მან. სადღაც არისო. არც წიგნთ-საცავი, არც ტანისამოსი და არც დავთრები ჩვენთვის არ ჩაუბარებიათ. ჩვენ მოგიწვიეთ იმისათვის, რომ გვითხრათ, ვიკისროთ ამ დამდეგს სეზონში თეატრის საქმის წარმოება თუ არა. გამგეობამ ხმის უმრავლესობით არ დაინახა ამ საქმის წარმოება შესაძლებლად. ამასაც მოგახსენებთ, თუ ამ საგანს ეხლავე არ გადასწყვეტთ, ჩვენი საქმე ცუდად არის, რადგან გამგეობის ზოგიერთნი წევრნი თავს ანებებენ თავისს თანამდებობას, თუ თეატრის გაძღოლას დაგვაკისრებთ. ამგვარად, შრომა განაწილებული არა გვაქვს და არავინ არაფერს ვაკეთებთ.

ა. მ. ახნაზაროვი. უცნაური კრებაა ჩვენი დღევანდელი კრება. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ბ-ნ გამგეობის თავმჯდომარის უბის წიგნი აღმოჩნდა, სადაც უკვე გაწეული ხარჯი რვა თუმანია ჩაწერილი და არა სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა. რაც შეეხება დაპირებულს მოხსენებას, თურმე ჩვენ, საზოგადოების წევრებმა, უნდა წარვუდგინოთ ეს მოხსენება და არა გამგეობამ, რადგან ამათ არა მოუმზადებიათ რა და ჩვენ გვეკითხებიან, რას მოგვახსენებთო. როგორც ვხედავ, ჩვენი აქ მოწვევა სრულიად უსაფუძვლო და უნიადაგო ყოფილა.

ვ. გუნია. ჩემის აზრით, კარგი იქმნება, რომ სათეატრო კანტორა დავაარსოთ. ეხლა ამ საქმისათვის გადადებული გვაქვს 180 მან., ეს ფული 30 თუმნამდე გავხადოთ და მაშინ დავთრებს და სხვა ქონებას დრამატიულ საზოგადოებისას ადვილად მოვუყრით ერთად თავს. საზოგადოდ ამ კანტორას მრავალ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექმნება.

კრებამ ეს საგანი განიხილა, რამდენმამე გამოსთქვა თავისი აზრი და ბოლოს იგი სასურველად, მაგრამ ადრეულად იცნო.

ი. მჭედლიშვილი. ხმა დადის, რომ ამხანაგობა ყმაწვილ-კაცობისა ას თუმანს შეჰპირდა გამგეობას, თუ იგი თეატრის საქმის გაძღოლას იკისრებსო, მართალია თუ არა.

თ. ნ. ი. თუმანიშვილი. ორიოდე შეერთებული კრება გვქონდა. მოვიწვიეთ შარშანდელ ამხანაგობის წევრნი და იმათ გვითხრეს, თუ თქვენ იკისრებთ საქმის გაძღოლას, ფულს მოგცემთო. რაოდენობა ფულისა არ აღუნიშნავთ. შარშან ამხანაგობაში 36 კაცი იყო, რომელთაც სამ სამი თუმანი შემოიტანეს. შეიძლება ას თუმნამდე შეგროვდეს. ჩვენ ეს წინადადება გამგეობის წევრთ გარდავეცით და წევრთა უმრავლესობა არ დათანხმდა.

პეტ. ყიფიანი. თუ თეატრის საქმის გაძღოლა არ ინდომა გამგეობამ, სამაგიეროდ რა საქმის კეთება დაიკისროს.

თ. ნ. ი. თუმანიშვილი. არაფრისა.

თ. გ. თარხნიშვილი. მაშ რა უნდა გააკეთონ?

გ. მესხი. როგორ, ას თუმანს შეგპირდნენ, ოთხმოცი თუმანი თქვენა გაქვთ და მაინც შეუშინდით თეატრის საქმის გაძღოლას?!

პეტ. ყიფიანი. ჩემის აზრით, თეატრის საქმის გაძღოლა არ უნდა გაუჭირდეთ. ოთხმოცი თუმანი აქვთ, ახლა საწევრო ფული შემოვა, საქველ-მოქმედო აზრით საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ბალსა და წარმოდგენასაც ას თუმნამდე შემოსავალი აქვს და რა მიზეზით-ღა უთქვამთ უარი.

ვ. ა. სულხანიშვილი. დიდად სასურველია, რომ ქართული თეატრი არსებობდეს. ჩვენ ეხლა არც ჰოს თქმა შეგვიძლიან და არც არასი. ან ერთისა და ან მეორე აზრის გამოსათქმელად გამგეობამ არავითარი მასალა არ მოგვცა, მივანდოთ გამგეობას, რომ შეასრულოს ეს თავისი მოვალეობა.

გ. ლასხიშვილი. ქართული წარმოდგენები უეჭველად უნდა იმართებოდეს. გამგეობამ არავითარი მოსაზრება არ წარმოგვიდგინა და არ ვიცით, რომელი ვამჯობინოთ.

ვ. გუნია. ისეთი მაგალითები ყოფილა, რომ სეზონი სამის თუმნით დაგვიწყია, აქ საშიში არა არის-რა, საზოგადო კრება დააკისრებს გამგეობას, რომ იგი ამ სეზონში გაუძღვეს თეატრისსაქმეს, მორჩა და გათავდა.

ა. ახნაზაროვი. კრება გადავდოთ და დავავალოთ გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

ვ. სულხანიშვილი. გამგეობამ უეჭველად უნდა წარმოგვიდგინოს თავისი დასაბუთებული მოსაზრება ამ საქმის შესახებ.

ასეთივე აზრი გამოსთქვა რამდენმამე სხვა წევრმა — პ. უმიკაშვილმა, ნ. ხიზანაშვილმა და სხვათ. $11^1/_2$ საათზედ კრებამ დაადგინა: განგრძე-

---

ტობა და ამის ნაცვლად გავიჩინეთ თოფის უკვამლო წამალი, რათა შორს მანძილზედ ვჟლიტოთ შეიარაღებულნი, ან შეუიარაღებულნი, სულ ერთია, ქალები იქმნებიან, მოხუცებულნი, თუ ბავშვები, მხოლოდ ვჟლიტოთ კი. ჩვენ წინაპარ ბარბაროსთა პირად ღირსებას მოკლებულნი ვჟლეტავთ ხალხს, თუმცა ეს გაჟლეტა არავისათვის საჭირო არ არის... დიაღ, საჭირო არ არის და კიდეც ეს გარემოებაა კაცის შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელი. არა გჯერათ, რომ ხალხის ამოჟლეტა არავისათვის საჭირო არ არის? მაშ მოისმინეთ.

„...დიდი, დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენნი წინაპარნი ერთმანეთსა სჭამდნენ, გამარჯვებულნი სიცოცხლეს უსპობდნენ დამარცხებულ მამა კაცებს, მოხუცებულებს, ხოლო ახალგაზდა ქალებსა და გოგოებს თავიანთის ცოლშვებით მონებად იხდიდნენ... მაშინ ყოველი ადამიანი მზად უნდა ყოფილიყო თავისის სიცოცხლის დასაცველად, დასაცველად ცოლისა, დისა, დედისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილი, სირცხვილი და მონობა არ ასცდებოდა. ეხლა, ჩვენს დროში იგივე მოელის თუ არა კაცს მტრის შესევის დროს? ვნახოთ.

ავიღოთ გერმანია, ჩვენი „ვერაგი“ ალბიონი (ინგლისი) და საფრანგეთი. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ „ჩვენის ვერაგობით“ მოვახერხეთ ფრანგების მოტყუება, მათი დამარცხება და დამონავება. როგორა გგონიათ, ყაუჩ-მს მოვიმზადებთ თუ ფრანგისაგან? უკაცრავად! ფრანგი გამხდარია, როგორც ფარაონის მშიერი ძროხა (სიცილი და მოწონების ხმა გაისმის). ფრანგის ქალებს დავიმორჩილებთ? (ამ დროს ორატორმა ხმა გაკმინდა და კეფა მოიფხანა). თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რაც ჩვენ ახალგაზდებს ემართებათ „ბულვარებზედ“ აქა და პარიჟში, ვშიშობ რომ წინააღმდეგი არ მოხდეს (საშინელი სიცილი გაისმის). დიაღ, ვშიშობ... ჩვენი თავისუფლების მოყვარე ახალგაზდები ცუდნი მებრძოლნი არიან პარიჟელ ქალთა შავის თვალების წინააღმდეგ (სიცილი გაისმის) და მიტომ უფრო საფიქრებელია, რომ მონებად ჩვენ გავხდეთ. დამსწრეთ ვთხოვ მაპატიონ გულ-ახდილობა, მაგრამ ეს-კია, რომ ჩვენ უშემწეონი ვართ ფრანგის ქალის წინაშე. დასამალი აქ არაფერია... ძალიან კარგი არ შევჭამთ და არც დავიმონებთ. ნუთუ Notre Dame-სა და Louvre-ს დავუწყებთ განადგურებას? ან პარიჟის ბულვარებისა და თეატრების, პროვინციის ვენახების განადგურებას შევუდგებით? მერე სადღა მოვკურცხლოთ დღესასწაულებში ჩვენის შებოლილის ლონდონიდგან? ჩვენი ქალები ვიღას მოდას მიჰბაძავენ? მე და თქვენ-კი, ჯენტლმენებო, საიდგან მივიღებდით ბარდოს და შამპანიის ღვინოს! ხოლო უღვინოდ, ჯენტლმენებო, ცხოვრება ისეთივე ჩაშავბნელებულია, როგორი ჩაშავბნელებულიც ჩვენი ღრუბლებია. (მოწონების ხმა გაისმის). გამოდის, რომ არც გავანადგურებთ და არც ჭამას დავუწყებთ. მაშ ფრანგულად ლაპარაკს ავუკრძალავთ? მაშინ ჩვენ ქალებს ვინ ასწავლის თავაზიან „კომპლიმენტებს“, რომელთაგანაც, ჩვენ, კაცებს, ჟრუანტელი დაგვივლის და კანკალს დაგვაწყებინებს ხოლმე? დამსწრენი თანახმანი იქმნებიან, რომ ფრანგული ენა აღკრძალონ? (ხალხში ისმის: „არა! არა!“)

მაშ რას დავაკისრებდით, როგორც გამარჯვებულნი? ფრანგები თავით ფეხებამდე გარდასახადებში იფლობიან. ვიტყვით, რომ ფრანგი სულელია, გავაუქმებთ ყველა გარდასახადს, როგორც ჩვენს ქვეყანაში გავაუქმეთ, შემოსავლის კვალობასა და გადაჭარბებით მდიდრულად ცხოვრებაზედ დადებულ გარდასახადთა გარდა. ფრანგსაც ძალიან უყვარს მოხელენი: მთავრობას 800,000 მოხელე ჰყავს („სირცხვილი!“). ...ეს რა არის! იქ 2 მილიონ მოხელეზედ მეტი იქმნება. (სირცხვილი!) აი, ჩვენ ამ მოხელეთა რიცხვს შევამცირებდით. (მართალია, მართალია!). აი კიდევ რა: ამ მოხელეებს, განსაკუთრებით მინისტრებს, უყვართ თავიანთის „სამშობლოს განსაცდელისაგან გადარჩენა“. ჩვენ-კი ვეტყოდით: მოითმინეთ, ბატონებო, ჰკითხეთ მოსამართლესა და საზოგადოებას. და წარვუდგენდით ამ „სამშობლოს გადამრჩენელთ“ სერ ჯონ-ბრიჯს, ხოლო ეს უკანასკნელი გარდაწყვეტდა იმათ საქმეს: თითონ იცის, ქუჩაში გაჰრეკავს, თუ ლორდ როსსელს *) მიანდობს, რათა მან თითოს ორ-ორი, ან სამ-სამი სიდედრი დაუნიშნოს. (სიცილი გაისმის). ხოლო ფრანგი გლეხი, ჟაკ ბარომი, იტყვის: „ჰა, ყოჩაღ, ჯონ ბულლ! გარდასახადებმა ჩვენ სრულიად გაგვაკოტრა, სამშობლოს გადამრჩენელთ-კი ყურები გამოგვიჭედეს. მოდი, დავლიოთ, ჯონ! Vive, ჟაკ! vive, ჯონ! (ყვირილი და ტაშიც ცემა მოისმის).

„როდესაც ჩვენ, ლედი და ჯონტლმენებო, ფრანგებსა და ფრანგის ქალებთან ღვინის სმაში ვიქმნებით, უცბად გერმანიის იმპერატორი თავისის ლანდვერებით და სხვა ამ გვარით ჩვენს ძველს ინგლისს დაიპყრობს, ლონდონს ალყას შემოარტყავს და დედოფალს, — აკურთხოს ღმერთმა იმის დღენი! — და დედოფალს გამარჯვებული მიადგება კარზედ. „გამარჯვება, შვილი-შვილო, რა ამბავი მომიტანე?“ — ბებიავ, ჩემო საყვარელო, ინგლისი დავიპყარი, იმპერატორად ინგლისისა ამიერიდგან მე ვარ“. — მერე, ჩემო საყვარელო შვილი შვილო, ჩემს ლორდებს ადგილ-მამულს წაართმევ? — როგორ იქმნება, ბებიავ? მე პრუსიაშიაც სულ წარჩინებულ კაცთათვისა ვზრუნავ და ვცდილობ. — კარგი. ჩემს ბანკი-

*) ლორდ როსსელი, ინგლისის მთავარ-მოსამართლეა. შესანიშნავი ნასწავლი და ენამახვილი კაცია. როდესაც ჯერ ისევ ვექილად იყო, ვიღაცას ასამართლებდნენ. ამ კაცს ორის ცოლის შერთვა ჰბრალდებოდა. როსსელ, ჰკითხეს ვექილს, ორ-ცოლიანს რა უმაღლესი სასჯელი უნდა მიესაჯოსო? — „ორი სიდედრი“-ო, უპასუხა.

ლება ამ კრებისა ოთხშაბათს, 16 სექტემბრის საღამოსათვის გადაიდოს, და გამგეობას მიენდოს, რომ მანამდე თავისი დასაბუთებული მოსაზრება წარმოგვიდგინოს და თუ საჭიროდ დაინახავს თეატრის საქმის გაძღოლას, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაც შეადგინოსო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ჯურუყვეთი.** დიდი აურზაური და სურა-მურა მოჰხდა წელს ჩვენში სკოლების გამო: ჯურუყვეთის ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა გარდაკეთებულ იქმნა ორ-კლასიანად და სამრევლო სკოლა და წიგნთ-საცავ-სამკითხველო გადატანილ უფრო მოხერხებულ და გაშლილ ადგილას.

სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანად გარდაკეთების განაჩენი სამი წელიწადია, რაც დაადგინა სოფელმა და დამტკიცებულიც არის სამოსწავლო უწყებისაგან, მაგრამ წრეულამდის არ გახორციელებულა ეს საქმე, რადგან ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა და ხალხი თავის-თავად ვერა ჰკისრულობდა ამ მისთვის საძნელო საქმეს, თუმცა მასწავლებელი ლ. ჩიმაკაძე თავ-გამოდებით ჰმეცადინეობდა ერთხელ დაწყებულ საქმის სისრულეში მოყვანას.

ამ წლის მაისის თვეში მობრძანდა ბ-ნი ბოქაული ასლ. კვიტაშვილი სოფლის სასამართლოში ამ საქმისათვის და ისეთის მამობრივის კილოთი მიჰმართა ხალხს და ისეთ მჭევრ-მეტყველურად დაახასიათა სწავლის მნიშვნელობა და მისი საჭიროება, რომ ხალხი აღტაცებაში მოვიდა და ერთ ხმივ დაადგინა განაჩენი: სკოლის შენობა უნდა აიგოს იქ, სადაც არსებობს. ახალი შენობა აიგოს ქვისა ერთ თვეზედ არა უგვიანეს, საზოგადო კაჭრობით გაიცეს ამისი იჯარაო. ამის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა, რომ ხალხში დრტვინვა და უკმაყოფილება გაისმა: ყველა თავისკენ ეწეოდა, თუმცა ოსტატს შენობის აგებას გარიგებულნი იყვნენ იმ დროსვე, როდესაც პირველად განაჩენი დაადგინეს. ერთმა გაყბატონმა ჩააგონა რამდენსამე სოფელს, რომ თუ რასმეს დაჰხარჯავთ, სკოლას ეზოში დაიდგამთო. ჩამოვარდა ძმათა შორის განხეთქილება. საქმე საჩივრად გახდა და ბოლოს სოფლის სასამართლოში თავ-მოყრილ ვექილებს შეუცვივდა მოწინააღმდეგე დასი და ცემით გარეთ გამოყარეს, რადგან ზოგს იმათგანს სწამებდნენ—სკოლის აგებას იქა სცდილობს, სადაც ეხლა არსებობსო. ეს შეიტყო მეორე დასმა და კეტებით ხელში ჩამოირბინეს, მაგრამ იქ არავინ დახვდათ და ეს დღე მშვიდობიანად დაღამდა.

გაჩნდა საჩივარი: გუბერნატორთან, მაზრის უფროსთან და სამოსწავლო უწყების წინაშე. მოცდენა და ხარჯი აუარებელი იყო, ასე რომ ამ ფულით სკოლის შენობის ნახევარსააშენებდნენ. ბოლოს მოვიდნენ მაზრის უფროსი ბ-ნი ლაზარენკო და ბოქაული კვიტაშვილი ხალხის დასამშვიდებლად. როგორც იყო ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ დიდის დავიდარაბის შემდეგ სკოლა დარჩა ძველს ადგილზედ, საფუძველს ახლა ჰყრიან და შენობის აგების იჯარა 5,159 მანეთად გასცეს.

ამავე ხანში დაიბადა აზრი სამრევლო სკოლისა და წიგნთ საცავ-სამკითხველოს უფრო მოხერხებულ ადგილას გადატანის შესახებ. წარმოიდგინეთ: აქაც აირია მონასტერი!.. აქაც იწყეს დას-დასობა და არეულობა. მიზეზი ამისა აი რა იყო: ერთმა „დიდმა“ ვაყბატონმა, რომელსაც აქ არა მცირე გავლენა აქვს, აიყოლია უგუნური ხალხი და ჩააგონა, რომ სკოლა-სამკითხველოს გადატანის ნებას ნუ მისცემთო და თუ მაინც და მაინც გადაიტანენ, ნურასფერს ნუ შეეწევითო. თუმცა სამკითხველო და სკოლა გადაიტანეს, მაგრამ ძველ ადგილზედ ასის საჟენის მოშორებით და ისიც სოფლის შუა ადგილას. ბოლოს საქმე კინაღამ მახვილზედ მივიდა, მიწევ-მოწევასა და დავიდარაბას ვინ მოსთვლის, მაგრამ ღმერთმა გვიშველა, როგორც იყო სკოლა-სამკითხველო გადატანილ იქმნა განზრახულ ადგილზედ და სკოლისათვის ახალი შენობა ვიყიდეთ, სამკითხველოსათვის ამ ცოტა ხანში აიგება კიდევ ახალი საუცხოვო მოხერხებული და ლამაზი შენობა. ყველა ამისათვის, რა თქმა უნდა, დიდი ფულია საჭირო და ეს ბეჩავი და მისნი ამყოლნი არაკითარს მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ ჩვენ ის გვანუგეშებს, რომ სამკითხველო მხოლოდ ამ წლის იანვრიდგან დაარსდა და ამ მცირე ხანშიაც ისე შეიჩვია ხალხი, რომ მისის ერთის ადგილიდან მეორეზედ გატანაც-კი ცილობასა ჰბადებს სოფელში.

მეკვლე

# რუსეთი

—

რკინის გზათა უწყებამ განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის მოხელეთ მოგზაურებს ვაგონებში ბანქოს თამაშის ნება არ მისცენ. ამასთანავე მათ თვალ-ყური უნდა ადევნონ, განსაკუთრებით ღამ-ღამობით, ყველა საეჭვო კაცებს.

— ამ ახლო მომავალში პეტერბურგს დამზღვევ საზოგადოებათა აქციის პატრონების საზოგადო კრება მოხდება. აზრადა აქვთ ამ კრებაზედ ლაპარაკი აღძრან იმის შესახებ, რომ დამზღვევ საზოგადოებებში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსები იქმნას დაარსებული.

— იმათი გამოცდა, ვისაც ჰსურს სამკურნალო მეცნიერების დოქტორის ხარისხი მოიპოვოს, მოხდება 1898 წლის დეკემბერსა ან 1899 წლის იანვარში. გამოცდა იქმნება სამხედრო-სამკურნალო აკადემიასთან. დოქტორის ხარისხის მოპოების ნება მიეცემა ყველა ექიმს, განურჩევლად იმისა, სამხედრო აკადემიაში აქვს მას სწავლა მიღებული თუ უნივერსიტეტში. მსურველთ თხოვნა პირველ ნოემბრამდე უნდა გაგზავნონ.

— „Торг. пром. газета“ იუწყება: გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას რკინის გზათა განსაკუთრებული სასამართლო. ამ სასამართლოში გაირჩევა იმათი საქმე, ვინც რკინის გზას რამეს ედავება. სასამართლო დაარსებული იქმნება პეტერბურგში.

— 3 სექტემბერს გახსნეს ახლად დაარსებული ვარშავის პოლიტეხნიკუმი. პოლიტეხნიკუმში მიღებულ იქმნა სულ 267 ახალგაზდა კაცი. მათ შორის 22 კაცი უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდგან გადავიდა, 86 კაცს გიმნაზია აქვს გათავებული, 84—რეალური სასწავლებელი, 12—ლოდზის სახელოსნო სასწავლებელი, 3—კადეტთა კორპუსი. სარწმუნოების მხრივ ახლად შესულნი ასე განაწილდებიან: მართლ-მადიდებელი—27, კათოლიკე—187, ევანგელიკი—12, ებრაელი—40 და სომეხ-გრიგორიანი—1. პოლიტეხნიკუმს სამი განყოფილება აქვს: სამექანიკო, საინჟენერო—აღმაშენებელი და საქიმიო. პირველ განყოფილებაზედ 111 კაცია, მეორეზედ—94 და მესამეზედ—62 კაცი.

— წელს მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებულ იქმნა 1000 კაცი; მათ შორის სამკურნალო ფაკულტეტზედ—239 კაცი, იურიდიულზედ—363, საფიზიკო და სამათემატიკოზედ—320 და საისტორიო-ფილოლოგიურზედ—53 კაცი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ამას წინად პარიჟის ზოგიერთი გაზეთები სწერდნენ: „საგენერალო შტაბი და იმასთან ერთად მრავალი სხვაც წინააღმდეგია დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვისა იმიტომ, რომ ამ საქმეში რამდენიმე წარჩინებული გენერალია ჩარეული, რომელთაც არა ერთი და ორი უკანონობა ჩაიდინეს. საქმის ხელ ახლა გარჩევის დროს ეს უკანონობა გამოაშკარავდება და, რასაკვირველია, იმათ ჩამდენს ხეირი არ დაეყრება“. როგორც უკანასკნელად მოსულის გაზეთებიდგანა სჩანს, ეს სიტყვები თან და თან მართლდება. ჯერ-ჯერობით გამოაშკარავდა, რომ დრეიფუსის საქმის გარჩევის დროს მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა გენერალმა მერსიემ დიდი უკანონობა ჩაიდინა, სახელდობრ ის, რომ ნება არ მისცა ეჩვენებინათ დრეიფუსის დამცველისათვის ის საბუთის ქაღალდები, რომელთა ძალითაც დრეიფუსს ბრალი დასდეს. დრეიფუსის მომხრეები წინადაც ბევრს ლაპარაკობდნენ მერსიეს მიერ ასეთის უკანონობის ჩადენის შესახებ, მაგრამ მაშინ ეს არავისა სჯეროდა და ყურადღებას არავინ აქცევდა. ეხლა-კი, გაზეთების სიტყვით, თვით მთავრობა დარწმუნდა, რომ დრეიფუსის საქმის განხილვის დროს მერსიეს წყალობით კანონი დარღვეულ იქმნა. გაზ. „Berl. Tagebl.“-ის კორესპონდენტი სწერს: „სამხედრო მინისტრად ნამყოფმა გენერალმა მერსიამ, როგორც შემდეგ გამოაშკარავდა, საიდუმლო საბუთის ქაღალდები არ უჩვენა არც ბრალდებულს და არც იმის დამცველს. ეს საბუთის ქაღალდები მან წარუდგინა მხოლოდ სამხედრო სასამართლოს, რომელმაც იმათ ძალით დრეიფუსი დამნაშავედ სცნო. ამ რიგად გენერალმა მერსიემ ისეთი საქმე ჩაიდინა, რომელიც კანონით პირდაპირ აღკრძალულია. ამ არა სასიამოვნო ამბის გამოაშკარავებამ აწინდელი სამინისტრო დიდად შეაფიქრა. მან ვერ გადაწყვიტა რა უყოს მერსიეს: სამართალში მისცეს თუ არა. შეიძლება სამინისტროს ისევე არ დაენდო გენერალი მერსიე, როგორც არ დაინდო ანრი და დიუ-პატი-დე-კლამი, რომ ერთს სხვა მოსაზრებას არ შეეფერხებინა იგი. საქმე ის არის, რომ სამინისტრომ თავისდა უნებურად გაიფიქრა: შეიძლება მერსიეს მიერ ჩადენილი უკანონობა მაშინდელმა მინისტრ-პრეზიდენტმა დიუპუიმ და თვით რესპუბლიკის პრეზიდენტმა კაზიმირ პერიემაც უწყოდაო. ხოლო თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ მთელს საფრანგეთში ისეთი არეულობა მოხდება, რომ იმის ჩაქრობას ვეღარავინ შეძლებსო. აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ზოგიერთი მინისტრი ყოყმანობდა და დღესაც ყოყმანობს.“

---

რებსა, მექარხნეებსა და ვაჭრებს გაალარიბებ?—რას ბრძანებთ, ბებიავ! მერე ვისდგან-ღა მოვკრებ შემოსავალს?—მართალს ამბობ, ჩემო საყვარელო შვილი-შვილო; მდიდრები მყვანან, დიდი შემოსავალი მოაქვთ. მაშ კოოპერატორებსა და ტრედუნიონებს აჰლაგმავ?..—ჰმ... ვნახოთ.—ეჰ, საყვარელო შვილი-შვილო, მაგათი რიცხვი 3,000,000-ია და ჩემი ჯონები შეუპოვარი ხალხია. მთელის საუკუნოებით იბრძოდნენ და ყველა მმართველნი დასძლიეს. არ გირჩევ იმათ ხელის ხლებას.—არ ვახლებ ხელს, ჩემო საყვარელო და ბრძენო ბებიავ.—აი, ეგ კარგია, ჩემო საყვარელო შვილი-შვილო, რომ არავის ხელს არ ახლებ. მაშ რად მობრძანდი?—როგორ თუ რადა? აკი გითხარი, რომ იმპერატორად ვიქმნებიმეთქი.—მაშ მხოლოდ მე, მოხუცებული ბებია, უნდა გადმომსვა ტახტიდგან და ჩემს ადგილას დაბრძანდე?.. გმადლობ, შვილი-შვილო, ეტყვის ჩვენი სათნოიანი დედოფალი, შერცხვება გამარჯვებულს იმპერატორს და ჰნახავს, როგორც ეხლა ჩვენა ვხედავთ, რომ არაფრისათვის არა ჰღირს ომი და ბრძოლა ევროპის ხალხთა შორის. მაშ გაუმარჯოს საყოველთაო მშვიდობიანობას! სახელი და დიდება რუსეთის ხელმწიფეს, რომელმაც ომიანობის წინააღმდეგ აღძრა ბაგენი!“ (გაისმა მოწონების ხმა და ორატორი ხალხში ჩაერია).

ჩემ მიერ გადმოცემულ სიტყვის შინაარსს აკლია ის ოხუნჯობა, ის იუმორი, რომლითაც გალამაზებული იყო ორატორის სიტყვა. მე ვცდილობდი გადმომეცა დედა აზრი ამ სიტყვისა: ევროპის ერთაივის სრულიად არ არის საჭირო ბრძოლა. ინგლისი დაიპყრობს საფრანგეთს, თუ საფრანგეთი—ინგლისს—სამოქალაქო უფლებანი ორისავე ქვეყნისა ისე მაღლა სდგას, რომ უფლება კაცისა, თავისუფლება, სარწმუნოება, ენა, სწავლა განათლება და ლიტერატურა უზრუნველ-ყოფილია, როგორც ერთს, ისე მეორე ქვეყანაში. მხოლოდ და მარტო ოსმალეთში არ არის ასე. ჰკითხეთ ყუბელებსა და ფილიპეს კუნძულების მცხოვრებლებს, ვინ ურჩევნიათ: თვისი ესპანიელი მმართველი, თუ გამარჯვებული ამერიკელი?.

—

რუსეთის იმპერატორის მოწოდებაზე ნაკლებ არ აღელვებს საზოგადოებას ახალი, დრამატიული ხანა დრეიფუსის საქმისა. უდიდესის გაზეთების მთელი სვეტები სავსეა დეპეშებით. ყალბი წერილები, პოლკოვნიკის ენრის მიერ თავის მოკვლა, მოქმედება იმ კაცთა, რომელნიც ენრის კალთას აფრებდნენ,—ყოველივე ეს აღელვებს მეტად მშვიდისა და აუღელვებელის ხასიათის პატრონებსაც. მაგრამ უფრო ძლიერა სწყინთ ყველას ახირება კავენიაკისა, რომელმაც მოიწადინა უეჭველად თითონ გადაეთვალიერებინა საქმე.—როგორ! სახელმწიფო მოღვაწეს, მინისტრს არ ესმის, რომ დანაშაულსა სჩადის, როდესაც თითონ, თავისის ნებით ითვისებს უმაღლესის სასამართლოს უფლებას? ამაზედ მეტი უვიცობა-ღა იქმნება? უბედურება ის-კი არ არის, რომ ერთმა ოფიცერმა დანაშაული ჩაიდინა—დამნაშავენი ყველა წოდების კაცთა შორის მოიპოვებიან. საფრანგეთის უბედურება ის არის, რომ მინისტრს არ ესმის ანბანი მოქალაქეობისა. როდესაც ამბავი მოვიდა, რომ კავენიაკმა მუქარა გამოაცხადა, ჩემს თანამდებობას თავს დავანებებო,—თავდაჭერილმა „Daily News“-მა—ლიბერალურ სამინისტროს გაზეთმა ურჩია შეუპოვარს მინისტრს: არა თუ სამსახურს თავი უნდა გაანებო, არამედ ცოტ ს ხნით სულით ავადმყოფთა სამკურნალოში თავი უნდა შეაფაროვო. ოფიციალურ გაზეთს ამაზედ მეტი რაღა უნდა ეთქვა?

სამაგიეროდ მრავალი ქება-დიდებაა გაზეთებში სიმართლისა და მართლ-მსაჯულების მამაცის დამცველის პოლკოვნიკის პიკარის მიმართ. თავდაჭერილი და მეტად განათლებული ახალგაზდა პოლკოვნიკი ინგლისელებს ძლიერ მოსწონთ. ზოლამ, კლემანსომ და პიკარმა, საყოველთაო აზრით, დაიცვეს სახელი საფრანგეთის მართლ-მსაჯულებისა და სამართლიანობისა. ძნელად წარმოსადგენია, რა მოუთმენლად მოელიან აქ დრეიფუსის უკვე გადაწყვეტილ საქმის ხელ-მეორედ განხილვას. და მერე მარტო აქ მოელიან მოუთმენლად და არა მთელს განათლებულს ქვეყნებში?..

მაგრამ ინგლისელებს ამ კვირია თავისი ახალი ამბებიც ჰქონდათ და სასიხარულო ამბებიც. პირველი სასიხარულო ამბავი ის იყო, რომ გაფიცვა ვალლის მადნების ასი ათასზე მეტის მუშისა მშვიდობიანად გათავდა. მადნების პატრონებმა შეიწყნარეს მუშების თხოვნა, თუმცა ყველასი კი არა. მეორე სასიხარულო ამბავი ინგლისელების გამარჯვებაა ზემო ეგვიპტეში; გამარჯვება ეგრედ წოდებულ მახტისტებზედ. ინგლისელებმა გორდონის სიკვდილის სამაგიერო გარდაუხადეს, მონების გამყიდველთა ბუდე განადგურებულია. ბრძოლა მშვენივრად იყო წარმოებული. ჯერ გერმანიის იმპერატორმა და მერე ყველა სახელმწიფოს მთავრობამ მიულოცა გამარჯვება და ქება-დიდება შეასხა ინგლისის ჯარს და ახალგაზდა სახელოვანს სარდალს გენერალს კიჩინერს.

მართლაც-და, წარმოება ბრძოლისა უდაბნო ადგილას დიდს პატივსა სდებს ახალგაზდა მეცნიერს გეპერინს, რომლის წიგნმა „ტვინი ჯარისა“ დიდი სახელი მოუხვეჭა მხედართა შორის. საზოგადოება-კი დიდად მადლიერია იმისი, რომ თითონ გამართა უდაბნოში ტელეგრაფი და მეორე დღესვე ატყობინებდა ინგლისის გაზეთებს ბრძოლის ველზედ მოკლულთა და დაჭრილთა სახელებს. ეს მართლა რომ ქების ღირსი მზრუნველობაა!..

ვ. მარველი

— გაზ. „Aurore“ იუწყება, რომ ამ ახლო მომავალში დაიპატიმრებენ ერთის სხვა ოფიცერს, რომელსაც დრეიფუსის საქმეში ანრისა და დიუ-პატი დე-კლამზედ ნაკლები შრომა არ მიუძღვის. დღემდის ამ ოფიცრის დანაშაულობის შესახებ არაფერი უწყოდნენ, დღეს-კი აღმოჩნდა, რომ მას ანრისა და დიუ პატი-დე-კლამთან ერთად სხვა-და სხვა საბუთის ქაღალდები და წერილი უთხზავს დრეიფუსის დანაშაულობის დასამტკიცებლადაო.

— იწერებიან, რომ ზოლა ამ ჟამად შვეიცარიაშია. ზოლა ეხლა ადგენს წერილს, რომლითაც მან საფრანგეთის ხალხს უნდა მიჰმართოს. პარიჟში ზოლა ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოვაო.

— გაზ „Нов“-ს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ: „ესტერჰაზიმ წინადადება მისცა გაზეთებს „Daily News“-ს და „Times“-ს, რომ დიდად საყურადღებო ამბებს შეგატყობინებთ დრეიფუსის საქმის შესახებ, თუ 10,000 გირვანქა სტერლინგს მომცემთო. შემდეგ 10,000 სტერ. 500 სტერლინგზედ ჩამოიყვანა. ხსენებულმა გაზეთებმა უარჰყვეს ეს წინადადება“.

## დამაკვირდი

მონა მუქლისა ელის დღესასწაულსა, რათა სურვილი მისი აღმოიკვეთოს მით.

იოანე

* * *

ყოველი კაცი, მნებებელი მოყვრისა ცხოვრებისა, იხილოს რა იგი შებრკოლებული და დაცემული, ისწრაფის აღდგინებად, ხოლო მდგომარესა განამლიერებს არა დაცემად.

ეფრემ ასური

* * *

უგვანად დიდთა მმებნელთა პატარაც დაეკარგება.

დავით გურამიშვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მამაცი მარშალი ლობო ერთხელ ბერლიოზის მუსიკას ისმენდა და ძლიერ აქო ნიჭი სახელოვანის მემუსიკესი. „მე ისე არაფერი არ მომწონს მუსიკაშიო, ეუბნებოდა ნაცნობებს გენერალი,—როგორც ბარაბანი“. ბერლიოზის ამ პიესაში სწორედ ბარაბანს ჰქონდა მეტი ადგილი დათმობილი. რაღა თქმა უნდა, ეჭვი არ არის, რომ მუსიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყველა ადამიანზე ერთნაირი-კი არა. უფრო განსხვავებული ზედ-მოქმედება აქვს მუსიკას სხვა-და-სხვა ცხოველზე. ფრანგი კომპოზიტორი ფეტისი ამბობს, ერთი ხვლიკი ვნახე, რომელსაც ძლიერ მოსწონდა მოცარტის კონცერტის ერთი ადგილი, რომელსაც მუსიკაში ადაჟიო ეწოდება. სხვა მუსიკას ეს ხვლიკი სრულებით არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. საზოგადოდ ხვლიკებს წყნარი მუსიკა უყვართ და განსაკუთრებით სტვენა. ცხოველებ შორის ყველაზედ ძლიერ უყვართ კარგი მუსიკა: ძაღლსა, კატას, თაგვსა და ობობას. გაზეთის „Temps“-ის თანამშრომელი ბ-ნი კარინიე სწერს: ჩემს ოთახში ერთი ობობა იყო, რომელსაც ძლიერ უყვარდა გალობა. გალობას რომ გაიგონებდა, დაეშვებოდა ხოლმე კედელზე და სცდილობდა, რაც შეიძლება ახლო მისულიყო მგალობელთან. სხვა მუსიკა-კი სრულებით არ მოსწონდა. სპილოსაც თურმე ძლიერ უყვარს მუსიკა. ერთხელ, საფრანგეთის რევოლიუციის დროს, საბატანიკო ბაღში კონცერტი გამართეს. ამ ბაღში ორი სპილო იყო, რომელთაც სახელად განსს და მარგარიტას ეძახდნენ. ორთავეს თურმე მუსიკა ძლიერ მოეწონათ. წყნარსა და ნაზს მუსიკას უფრო მეტი ზედ გავლენა ჰქონდა მარგარიტაზე, შესანიშნავმა სიმღერამ „Caira“-ამ-კი ორთავე ცხოველი ისე ააცახცახა, რომ კაცს ეგონებოდა, ეს პირუტყვები უეცრად გაცივაო. ერთმა უვერტიურამ კიდევ ორთავენი ძლიერ გაამხიარულა.

სახედარსაც, თურმე, ძლიერ უყვარს მუსიკა. ერთხელ მუსიკის მოყვარული სახედარი ღია კარიდგან ოთახში შეიჭრა ერთს ქალს, რომელიც ამ დროს გალობდა და ყროყინით განაცხადა თვისი აღტაცება. ცხენსაც ჰყვარებია მუსიკა. ბეითალი გენონი სწერს: ბევრჯერ დავკვირვებივარ ცხენებს და დავრწმუნდი, რომ ცხენი ადვილად ეჩვევა მუსიკას. ხშირად დამიკრავს ხოლმე სკრიპკა ან ფლეიტა თავლაში და თვალ-ყური მიდევნებია ცხენებისათვის. ყოველთვის ერთი და იგივე მომხდარა: ცხენები ყველანი თავს მოიბრუნებდნენ ხოლმე ჩემკენ და ცოტა ხანს მე მომაჩერდებოდნენ. ზოგი მერე ისევ ჭამას შეუდგებოდა, თითქოს უნდა ეთქვათ „დაუკარი, რამდენიც გენებოს, ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ“. ზოგი-კი სრულიად თავს ანებებდა ჭამას და დიდხანს სიამოვნებით შემომცქეროდა.

## სასამართლოს მატიანე

9 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ ქ. გორში გაარჩია გორის მაზრის სოფ. დოესში თავ. ნ. ს. ციციშვილის მოურავის სანდალა რაზმაძის მოკვლის საქმე. ამ საქმის გარემოება შემდეგია: 1897 წელს გლეხებმა იასონ, მიხეილ, იოსებმა, გრიგოლმა და გიორგი ტერტერაშვილებმა პური დასთესეს სოფ. დოესის მახლობლად იმ ადგილას, რომელსაც სახელად ნასილალა ეწოდება. თავადმა ნ. ციციშვილმა განაცხადა, ეგ ადგილი ჩემია და ამიტომ რაც პური მოვა, სულ მე მომიტანეთო. ხოლო ტერტერაშვილებმა, რომლებიც ციციშვილს ამ ადგილს ედავებოდნენ, კვლავ მოხნეს ეს ადგილი და დასთესეს. ეს ამბავი გაიგო ციციშვილის მოურავმა სანდალა რაზმაძემ და 11 მარტს სთხოვა ადგილობრივ მამასახლისს დიმიტრი ბანდაურს — აუკრძალე ტერტერაშვილებს იმ ადგილას დათესვაო, მაგრამ ტერტერაშვილებმა და იმათმა მუშებმა ლუკა ბარყვაძემ და იაკობ ბეგლარაშვილმა არ შეასრულეს ბრძანება მამასახლისისა, რომელიც იქ მივიდა და თან მიიყვანა თავისი თანაშემწე მელქო ხაჩიკაშვილი და ჩაფარი ნიკოლოოზ წარიტაშვილი. ამავე დროს აქვე მოვიდა მოურავი რაზმაძე და, რა დაინახა, რომ ტერტერაშვილები მიწასა ჰხნავენ, თოფი ესროლა. მაშინ ისაკა, გიორგი და გრიგოლ ტერტერაშვილები რაზმაძეს მიუახლოვდნენ და ჰკითხეს: „რად გინდა ჩვენი დახოცვა? საკმარისი არ იყო, რომ შარშან პური წაგვართვე?“ ამის პასუხათ რაზმაძე ლანძღვა-გინებას მოჰყვა, გლეხებს უთხრა: „აქედგან დამეკარგენით, თორემ ყველას დაგხოცავთ. და ჯოხით დაუწყო ცემა მოხუცებულს ისაკა ტერტერაშვილს. მოხუცს მიეშველნენ გრიგოლ და გიორგი ტერტერაშვილები, ხოლო იასონ ტერტერაშვილი, რომელსაც მამასახლისი ბანდაური იმაგრებდა, ხელიდგან გაუსხლტა, მიიჭრა რაზმაძესთან, ხანჯალი წაართვა და გვერდში დასცა. რაზმაძე იქვე გარდაიცვალა ისე, რომ ხმაც არ ამოუღია.

მოკლულის ქვრივის ვექილი ნატროშვილი სასამართლოს სთხოვდა მკვლელს 1500 მანათი გადაახდევინეთ რაზმაძეს ქვრივისა და ობლების სასარგებლოდაო.

ბრალდებულის ვექილმა საზონოვმა წარუდგინა სასამართლოს საბუთები, რომლებითაც მტკიცდება, რომ სადავო ადგილი ტერტერაშვილებისა იყო და პოლიცია უკანონოდ იქცეოდაო.

ბრალდებულს ამტყუნებდა პროკურორის ამხანაგი ბ. ჯალალოვი.

ვექილმა სთქვა, თავადმა ციციშვილმა ტერტერაშვილებს წაართვა ყოველივე ქონება და ზედის ანაბარა დასტოვა, ხოლო იასონ ტერტერაშვილმა იმიტომ მოჰკლა რაზმაძე, რომ იძულებული იყო თავისი თავი დაეცვა.

ოლქის სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულს იასონ ტერტერაშვილს პატიმართა განყოფილებაში სამის წლით გაგზავნა და ქონების უფლებათა ჩამორთმევა. ქვრივის ვექილის საჩივარი შეუწყნარებულ იქმნა და ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა: მიეცეთ მცირე წლოვან ობლებს თითო თითო მანეთი თვეში, ვაჟებს იმ დრომდე, ვიდრე სრულ წლოვანებად შეიქმნებიან და ქალებს იმ დრომდე, ვიდრე გათხოვდებიან, ან ცხოვრების სხვა რამ სალსარს მოიპოვებენ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 სექტემბერი

**რომი.** „Italie“ იუწყება, რომ დიდმა სახელმწიფოებმა დაადგინეს შეიკრიბნენ ოქტომბერში საერთაშორისო კონგრესზე და მიიღონ საშუალებანი ანარქისტთა არა მარტო ბოროტ-განზრახვის წინააღმდეგ არამედ ხელი შეუშალონ იმათის მოძღვრების გავრცელებას ქარხნებში.

**პარიჟი.** პიკარი სონტეს-საპატიმროდგან შერშ-მიდის საპატიმროში გადიყვანეს.

**კანეა.** პოლკოვნიკმა ჩერისაილმა მოახსენა ადმირალებს საგანგებო სასამართლო დავაარსოთ სმირნაში, რომელმაც უნდა განასამართლოს კანდიის მეამბოხენიო.

**კონსტანტინეპოლი.** აქამდე ინგლისელებს გადასცეს 76 კაცი, რომელთაც სონაწილეობა მიიღეს კანდიაში მომხდარ უწესოებაში. ოსმალეთი თხოულობს—დამნაშავენი ტრიპოლის გადაასახლეთ და იარაღი ქრისტიანებსაც ჩამოართვითო. კანდიაში მაჰმადიანებისაგან იარაღის ჩამორთმევა მშვიდობიანად სწარმოებს.

**პარიჟი.** „Journal“ იუწყება, რომ მთავრობამ გადასწყვიტა მარშანს მისაშველებელი ჯარი გაუგზავნოს.

**პეტერბურგი.** სტატსკი სოვეტნიკი მილლერი ირკუტსკის ვიცე-გუბერნატორად ინიშნება.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი მღვდელს პლატონ ჯინჭველაშვილს და ბ-ნთ იოსებ იმედაშვილს და ვარლამ ცქიტიშვილს, რომელთაც ჩემ მიერ ახლად დაარსებულს ს. კიკნაველეთის სკოლის საბავშვო წიგნთ-საცავს შემოსწირეს: პირველმა ექვსი ქართულ-რუსული წიგნი,—ღირებული 2 მ., მეორემ—ექვსი ქართული წიგნი თვისი გამოცემა—ღირებული 1 მ. 50 კ. და მესამემ—7 წიგნი, ღირებული 1 მ. 80 კ. იმედია, სხვებიც მიბაძავენ და მოგვაწვდიან თავიანთს წვლილს ამ ადრესით: Черезъ м. Квирилы, въ сел. Кикнавелети, учителю Сергѣю Джинчвелашвили.

სოფ. კიკნაველეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სერგი ჯინჭველაშვილი


## კლიუკვას ექსტრაქტი

რ. კელერისა და ამხ. მოსკოვის ქარხანაში დამზადებული, იძლევა მეტად სუფთა და კარგის ფერისა და გემოს სასმელს. ისყიდება **ყველგან ყველა** ქალაქის დიდ ვაჭრებდან. (Клюквенный экстрактъ). (3—მ.—2)


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 სექტემბრისათვის 1898 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | 20575 | 52 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 4091 | 30 |
| III. „ „ „ა. ფრიდონნოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 29194 | 78 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 2317 | 25 |
| V. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 191409 | — |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 1945—46 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 10512—70 | | |
| გ) საქონელზედ 10494—— | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3692—73 | 26644 | 89 |
| VII. დასაბრუნებელი ხარჯი | 179 | 97 |
| VIII. მოწყობა-მომართვა | 887 | 12 |
| IX. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 9 | 43 |
| X. სხვა-და-სხვა დებიტორები | 366 | 71 |
| XI. მიმდინარე ხარჯი | 6602 | 17 |
| XII. პროტესტში წასული თამასუქები | 680 | — |
| ს უ ლ | 282958 | 14 |

**პასივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 640 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 69726 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს) | 2403 | 19 |
| III. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით 97341—29 | | |
| ბ) ვადით 92450—— | | |
| გ) უვადოდ 700—— | 190491 | 29 |
| IV. გარდასაცემი თანხა | 2018 | 12 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | 1060 | 66 |
| VI. გადაგირავება თამასუქებისა | 6850 | — |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 1 | 47 |
| VIII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა | 9896 | 72 |
| IX. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად | 500 | — |
| X. სათადარიგო თანხ. სარგებლიან ქ. ღ. სარგებლი | 10 | 69 |
| ს უ ლ | 282958 | 14 |
| პასუხის-მგებლობა 640 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 627534 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 3900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | 950 | — |

(1—6.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას 6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდებზედ 6%, ბ) საქონელსა-და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანგებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.

Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე